



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 5

„19“ „აგვისტო“ 2018 წელი

სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი მისი რექტორის თეონა ხუფენიას სახით და „თიბისი ბანკის №1 სერვის ცენტრი“ (შემდგომში - „სერვის ცენტრი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით, მხარეებად წოდებულნი, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები:

- ურთიერთთანამშრომლობის ორმხრივი დაინტერესებით ისწრაფვიან რა თანასწორუფლებიანი ურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებისაკენ;
- გამოთქვამენ მზაობას აქტიურად ითანამშრომლონ საუნივერსიტეტო პროცესების ეფექტიანობის ამაღლებისა და სტუდენტთა მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში;
- აცნობიერებენ რა საზოგადოების განვითარებისათვის მათ საჭიროებას და სურვილი აქვთ განახორციელონ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებები საგანმანათლებლო სფეროში;

ათორმეხუთე წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (შემდგომში „მემორანდუმი“) და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

სასწავლო პროცესის ფოკუსირება პრაქტიკის მოთხოვნებზე და საჭიროებებზე, სტუდენტთა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ – ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. შრომის ბაზარზე კარიერის დაგეგმვის შესაძლებლობების გაფართოება,

2. მხარეთა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულება:

- საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად შემუშავება.
- პრაქტიკული ღონისძიებების ერთობლივი ორგანიზება (კონფერენციები, სემინარები, შეხვედრები სხვა და სხვა საკითხებზე.)

- სტუდენტთა თეორიული ცოდნის გამოყენებისათვის შესაბამის სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწა. კომპანიის მენეჯერებთან და პერსონალთან არაფორმალური ურთიერთობები დაეხმარება სტუდენტებს პროფესიული ურთიერთობების დამყარებასა და შემდგომი კარიერის დაგეგმვაში.

- სტუდენტთა პრაქტიკის გავლის და კომპანიაში ვაკანსიების გამოცხადების შემთხვევაში კომპანიაში იმ კურსდამთავრებულთა შეძლებისდაგვარად დასაქმება, ვინც გაიარა სტაჟირება კომპანიაში.

3. დასკვნითი დებულება

- 3.1. მხარეთა ყოველი კონკრეტული ერთობლივი „შეთანხმება“ გაფორმდება წერილობით, დეტალურად განისაზღვრება პირობები, პრაქტიკის ან/და სტაჟირების ვადები და გრაფიკი.
- 3.2. წინამდებარე „მემორანდუმი“ არ წარმოშობს რაიმე სახის ურთიერთ-ვალდებულებებს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებ(ებ)ის გაფორმებამდე.
- 3.3. წინამდებარე „მემორანდუმი“ ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით. „მემორანდუმის“ მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებ(ებ)ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.
- 3.4. წინამდებარე „მემორანდუმი“ შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის გადასაცემად.

4. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“

მისამართი: ქ.ზუგდიდი; ჭანაშიას №14

რექტორი
თეონა ხუფენია

თ. ხუფენია



სს „თიბისი ბანკის №1 სერვის
ცენტრი“

მისამართი: ქ. ზუგდიდი; კოსტავას 58

დირექტორი
გიორგი შენგელია

